



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 607

“ 22 ” ნოემბერი 2024 ♡

## ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა №49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის №24.1942.2190 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა №49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №0124288110-67 (№ 01243123807-67; №01243171548-67; №012432352-67; №0124323720-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს აღნიშნული განკარგულების გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს.

4. განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული 3 (სამი) ბლოკის დასრულების შემდგომ მოეწყობა საფეხბურთო მოედანი და შემდეგ გაიცემა მე-4 ბლოკის მშენებლობის ნებართვა.

5. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 24.1942.2190**  
**18 / ნოემბერი / 2024 წ.**

ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცვის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 14 ოქტომბრის N0124288110-67 (N 01243123807-67; N01243171548-67; N012432352-67; N0124323720-67) განცხადებით მიმართა სოფიკო ცხოიძემ (პ/ნ 46001003286) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცვის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცვის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 30 222 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო წინადადება დაგეგმილია 5 ძირითადი შენობის განთავსება და ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით, სადაც განთავსდება 4 მრავალბინიანი შენობა და სპორტული მოედნის ფუნქციონირებისათვის ადმინისტრაციული/დამხმარე 1 შენობა-ნაგებობა. ასევე, მოეწყობა სარეკრეაციო სივრცე, სკვერი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სართულიანობა იქნება 24.

ტექ-ეკონომიკური მანვენებლები:


არეალის ჯამური ფართობი: 30 222 კვ.მ;

არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა- 1

საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1

საპროექტო შენობების რაოდენობა - 5





სათამაშო მოედნის ფართი: 6 435.1 კვ.მ

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის: 2289 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

კ1-0.5 = 16 441 კვ.მ

კ2-2,5 = 76 885 კვ.მ

კ3-0,3 = 9 067 კვ.მ

სართულიანობა - 24 (მაქს.); მაქს. სიმაღლე - 82.2 მ.

მიწისქვეშა ავტოსადგომები რაოდენობა (სავარუდო): 427

მიწის ზედა ავტოსადგომები - 11 (აქედან, 7 ერთეული განკუთვნილია სტადიონის ინფრასტრუქტურისათვის);

სტადიონის და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის (შენობა-ნაგებობის) მართვა გადაცემულ იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის.

არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6);


საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა;

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის



N14-39 დადგენილების 16<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად, ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელ ზონა 6-ით (სზ-6)) ცვლილებისთვის გათვალისწინებულია მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 18 ნოემბრის N61-01243233124 წერილის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული ფასი განსაზღვრულია (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა: N008040224; 18.11.2024) და შეადგენს - 205 826 (ორას ხუთი ათას რვაას ოცდაექვსი) ლარს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 18 ნოემბრის N61-01243231132 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი 01.17.11.027.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საკადასტრო ერთეული დაკორექტირდეს ფართის უცვლელად, მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცის გამოყენებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის N012430298 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 18 ნოემბრის N01243233402 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.


ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0124288110-67 (N01243123807-67; N01243171548-67; N012432352-67; N0124323720-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებასთან დაკავშირებით მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს შესაბამისი ფასის გადახდა, განაშენიანების რეგულირების წესების 16<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად.





3. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ განკარგულების გასანივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **012430298**  
თარიღი: **28/10/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 14 ოქტომბრის №0124288110-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ბ. ხმელნიცვის №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: 01.17.11.027.066; **საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)**) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **8 ძირი** (№42; 43; 60; 61; 62; 63; 64; 69) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და მოსაჭრელი ჯანსაღი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქსპერტო დასკვნაში აღწერილი **24 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (№ 47; 70; 71; 72; 73; 74; 75; 76; 77; 78; 79; 80; 81; 82; 83; 84; 85; 86; 87; 88; 89; 90; 91; 92) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **24 ძირი** მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი: 52 ძირი** მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი: 100 ძირი** იტალიური ფიჭვი; 100 ძირი ჰიმალაის კედარი; 113 ძირი ირმის რქა; ჯამში - 365) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (9066.6 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაკებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას დენდროლოგიურ გეგმაზე და გვემარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი მშლუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტების ეტაპზე განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს იმგვარი დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა, რომელზეც დაკორექტირებული იქნება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო ერთეული.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01243233402  
თარიღი: 18/11/2024

2024 წლის 18 ნოემბრის N 0124323720-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი შეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 30 სექტემბრის N 01242743236-67 განცხადების პასუხად N 01242744342 წერილით.

შემოსვენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით შეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიცირი  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01243231132  
თარიღი: 18/11/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს  
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2024 წლის 13 ნოემბრის N 16-01243181785 (13.11.24 N17-01243182831-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ზმელნიცის N48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.17.11.027.066) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხს. ვინაიდან, საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია არსებული საკადასტრო ერთეულის ფართის უცვლელად კორექტირება მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცის გამოყენებით (3,9კვ.მ), ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი 01.17.11.027.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საკადასტრო ერთეული დაკორექტირდეს ფართის უცვლელად, მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცის გამოყენებით.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიცირებული  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01243233124  
თარიღი: 18/11/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2024 წლის 13 ნოემბერს შემოსული N16-01243182532 წერილის პასუხად, გიგზავნით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 18 ნოემბრის N008040224 ექსპერტიზის დასკვნას და გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ბ.ხმელნიცკის ქუჩა N48-ში N01.17.11.027.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან 1355,9 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის, კერძოდ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელ ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებით დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის 30% განისაზღვრა - 205826 (ორას ხუთი ათას რვაას ოცდაექვსი) ლარით.

დანართი: 7 ფურცელი.

ირაკლი თავართქილაძე  
სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიკური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი















